ექსპერტ არქიტექტორი : ნიკოლოზ გოგეშვილი

დამკვეთი : გიგა სანაია

ობიექტის მისამართი : ქალაქი თბილისი

საკადასტრო კოდი : 01.17.02.059.089

საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები "დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საფუძველი: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი ("მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით).

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში მდებარე საკადასტრო კოდით 01.17.02.059.089 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

მიწის ნაკვეთის ფართობია – 600 კვ.მ.

საპროექტო დავალებით გათვალისწინებულია ხუთ (5) სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

საექსპერტო შეფასების ზოგადი აღწერა

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდანგამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) ლიფტისადმი მოთხოვნებს

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ხანძრისაგან დაცვის სისტემის შეფასებას;

კ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

ლ) განიავების სისტემები

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი დაკავებულობები:

0.00 ნიშნულზე: **სწ-2 შემოზღუდული ავტოსადგომი**

სხვა დანარჩენ ნიშნულებზე: **სც-2 საცხოვრებელი ერთეულები**

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს "წესების" ცხრილი 1004.1.2-ის მოთხოვნებს, კერძოდ: სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე.

სწ-2 ჯგუფისთვის 18.6

სც-2 ჯგუფისთვის 18.6

დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი 53

0.00 დდ 9

+2.7; დდ 11

+5.7; დდ 11

+8.7; დდ 11

+11.7; დდ 11

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა საპროექტო კონსტრუქციის ტიპი შენობისთვის I-B, რომელიც შერჩეული იქნა გამოყენებული ცეცხლმედეგი მასალებისა და შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით, რაც აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს.

601 ცხრილის მიხედვით კონსტრუქციის ტიპს მოეთხოვება:

- **ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო – 2ა სთ.**
- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები – 1ბ,გ სთ.**
- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - 2სთ.**

ა. სახურავის საყრდენები: სტრუქტურული ჩარჩოსა და მზიდი კედლების ცეცხლისაგან დაცვის ხარისხი შეიძლება შემცირდეს 1 სთ-ით, თუ მხოლოდ სახურავს ზიდავს.

გ. სმ-1, დსშ, სვ და სწ-1 ჯგუფის დაკავებულობების გარდა, ნაგებობის ნაწილებს, სახურავის ჩარჩოს და ფენილს არ სჭირდება ცეცხლმედეგობის ხარისხი, თუ სახურავის კონსტრუქციის ყოველი ნაწილი უშუალოდ მის ქვეშ მდებარე იატაკიდან 6,0 მ-ით ან მეტით ზემოთაა. ასეთი დაუცველი ელემენტებისთვის შეიძლება გამოიყენებოდეს ცეცხლმედეგობისათვის დამუშავებული ხის ელემენტები.

გ. სადაც აუცილებელია 1 სთ ან ნაკლები ცეცხლმედეგობის ხარისხი, ყველა ფართობზე დასაშვებია მასიური ხის გამოყენება.

აღნიშნული სრულად აკმაყოფილებს 601-ე ცხრილის მოთხოვნებს.
რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი დათვლილია 406 ქვეთავის მიხედვით (406.5.6), პროექტით წარმოდგენილი ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს გარე კედლებისადმი მოთხოვნებს, გარე კედლებს აქვს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რაც შესაბამისობაშია 602 ცხრილის მოთხოვნებთან

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

პროექტით გათვალისწინებულია +16.39 მ. სიმაღლის 5 სართულიანი შენობის მშენებლობა. წესების 503-ე ცხრილის მიხედვით I-B კონსტრუქციის შენობა შეიძლება იყოს, პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობის ჯგუფებისთვის 11 სართულისა და შეუზღუდავი ფართობის მქონე შენობა, შესაბამისად საპროექტო ობიექტი ზემოაღნიშნული მახასიათებლებით აკმაყოფილებს "წესების" 503-ე ცხრილის მოთხოვნებს.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;

თითოეულ სართულზე გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილის სიგრძე აკმაყოფილებს 1021 ცხრილის მოთხოვნებს. მიწისპირა სართულზე სწ-2 დაკავებულობაში სავალი მანძილი არ აღემატება დასაშვებ 23 მეტრს. საცხოვრებელ სართულებზე სავალი მანძილი არ აღემატება 38 მეტრს, პროექტი წესების მიხედვით ითვალისწინებს არანაკლებ 2 მ დერეფანს. გასასვლელი კარების მინიმალური თავისუფალი სიგანე გათვალისწინებულია 0.82 მ.

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასავლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

პროექტით გათვალისწინებულია ერთი გზა-კიბე, რომელიც მიწისპირა სართულზე პირდაპირ გადის გარეთ,

ვ) მისაწვდომობის შეფასება:

შენობის ყველა ნაწილში და მის გარეთაც საკადასტრო ერთეულის ფარგლებში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა. შენობის პირველის სართული მდებარეობს მიწისპირა ნიშნულზე.

შენობის ყველა გასასვლელი არის მისაწვდომი, არცერთი კარის თავისუფალი სიგანე არ არის 0.82 სმ-ზე ნაკლები.

- შშმ პირებისთვის შენობა უზრუნველყოფილია ლიფტით.

საცხოვრებელი ერთეულების 2% მოწყობილია №732 დადგენილების შესაბამისი სტანდარტებით.

ზ) ლიფტისადმი მოთხოვნები

პროექტით გათვალისწინებულია ერთი სამომსახურეო ლიფტი, ლიფტის კაბინის მინიმალური თავისუფალი ზომებია 1,50X2,30, გათვალისწინებულია საკაცის ზომები 2,15X0,60, ლიფტი აღჭურვილია დაწნევის სისტემით (713.14.1).

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

სახურავის სტრუქტურისა და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 601-ე ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობის გადახურვა აკმაყოფილებს "წესებით" განსაზღვრულ 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, არის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები. პროექტით გათვალისწინებულია პარაპეტის მოწყობა.

ი) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია:

- ხელის ცეცხლმაქრები 906.3.1 პუნქტის შესაბამისად
- ავტოსაშველი სისტემა სწ-2 დაკავებულობაში 903.2.10 პუნქტის შესაბამისად
- სახანძრო მილდგარების სისტემები 2011.1 პუნქტის შესაბამისად
- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა(907.2.9.1) და კვამლზე მორეაგირე მაუწყებელი სისტემები (907.2.9.2)

შენობას არ მოეთხოვება ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები (904.2); ასევე სააავარიო განგაშის სისტემები (908).

ხანძრისგან დაცვის სისტემების განთავსება პირობითია და საჭიროებს დეტალურ საინჟინრო პროექტირებას, ავტოსაშველი სისტემისთვის ავზები გათვალისწინებულია ტექნიკურ სართულზე.

კ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემას ფიქსირებული მოწყობილობები შეესაბამება დაკავებულობის ტიპს, მათი რაოდენობა კი -1602.1 ცხრილში მოცემულ მინიმალურ რაოდენობას.

საკვლევი პროექტით გათვალისწინებულ საცხოვრებელ სართულებზე საცხოვრებელ ერთეულებს გააჩნია დამოუკიდებელი სველი წერტილები.

ლ) განიავებისადმი მოთხოვნები:

შენობა ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1204 ქვეთავის მოთხოვნებს ბუნებრივი განიავების თვალსაზრისით, განიავების მექანიკური სისტემა კი მოწყობილია კიბის უჯრედის ლიფტისა და დერეფნებისათვის.

შენიშვნები:

მუშა დოკუმენტაციისა და საინჟინრო კომუნიკაციების დამუშავებისას გათვალისწინებული იქნას წესების მოთხოვნები.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან- "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული (სანებართვო) პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

დასკვნა

ქ. თბილისში , მდებარე საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 01.17.02.059.089 5 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები "დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი არქიტექტორი : ნიკოლოზ გოგეშვილი

2021 წ.

არქიტექტურული პროექტის „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტთან“ შესაბამისობის ანალიზი

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის, მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N 732 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში მდებარე საკადასტრო კოდით 01.17.02.059.089 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო დავალებით გათვალისწინებულია მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

შესაბამისობის ანალიზი მოიცავს შემდეგ ნაწილებს :

ა) შენობის ბლოკები (თავი 3)

ბ) შენობის ბლოკები (თავი 4)

გ) ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები (თავი 5)

დ) წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები (თავი 6)

ე) საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები (თავი 7)

ვ) სოციალური ოთახები და სივრცეები (თავი 8)

ზ) საცხოვრებელი ერთეულები და საძინებელი ერთეულები (თავი 11)

ა) შენობის ბლოკები (თავი 3)

1. შენობის თითოეულ სართულზე მოწყობილი იატაკის ზედაპირები მდებარეობს დონეთა ცვლილების გარეშე, არის მდგრადი, მყარი და არასრიალა მასალებით დაფარული. იატაკის ზედაპირები და დონეთა ცვლილება შეესაბამება 302-303 ქვეთავებს

2. შენობის თითოეულ მისაწვდომ სივრცეში (ბინაში, ოთახებში, დერეფნებში) მოწყობილია 304.3.1 ქვეთავის შესაბამისი მოსატრიალებელი სივრცეები 1700 მილიმეტრის დიამეტრით. მითითებულ ზომაში არ ხდება რაიმე სახის შეჭრა ან გადაფარვა. აღნიშნული დატანილია ნახაზებზე. მოსატრიალებელი სივრცეები აკმაყოფილებს 304 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. იატაკის თავისუფალი სიგანე შენობის ყველა მისაწვდომ სივრცეში აკმაყოფილებს 305.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

4. თავისუფალი სივრცეების ზომები აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს და გათვალისწინებულია ყველა შესაბამის მოწყობილობასთან, დანადგართან და ავეჯთან. თავისუფალი სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის შეესაბამება 306 ქვეთავს

5. გამოშვერილი საგნები პროექტში არ არის გათვალისწინებული და შესაბამისად 307 ქვეთავის მოთხოვნები დაცულია

6. შეზღუდული მისაწვდომის და მისადგომის მანძილები გათვალისწინებულია პროექტით, მისაწვდომი დიაპაზონი და ელემენტების სამართავები შეესაბამება 308-309 ქვეთავის მოთხოვნებს.

გ) მისაწვდომი სვლაგეზები (თავი 4)

1. მისაწვდომი სვლაგეზების სავალი ზედაპირები მოწყობილია დონეთა ცვლილების გარეშე უწყვეტად საზოგადოებრივი სივრციდან შენობის მიმართულებით, შენობაში მოწყობილი კარები და ბილიკები აკმაყოფილებს 402-403 ქვეთავების მოთხოვნებს. დერეფნებში დაცულია გვერდასავლელი გაბარიტები რაც ჯამურადაა გათვალისწინებული დერეფნის სიგანეში.

2. კარი და გზა-კარების თავისუფალი სიგანისა და კართან მანევრირების თავისუფალი სივრცის მიმართ მოთხოვნები გათვალისიწინებულია 404 ქვეთავისა და ამავე ქვეთავში არსებული ცხრილების 404.2.3.2 და 404.2.3.3 შესაბამისად.

3. გზა-კარების ზღურბლები არ აღემატება მაქსიმალურ დასაშვებ 13 მილიმეტრს 404.2.4 ქვეთავის შესაბამისად.

4. კარის კავეულების და დახურვის სიჩქარები უნდა შეესაბამებოდეს 404.2.6-404.2.7 ქვეთავებს. ავტომატურად მოძრავი კარი უნდა შეესაბამებოდეს 404.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

5. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შენობაში და ნაკვეთზე არ არის გათვალისწინებული შშმპ პანდუსები ვინაიდან შენობაში შესვლა ხდება მიწის დონიდან რომელიც თავის მხრივ უწყვეტად უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს. შესაბამისად დაცულია 405 ქვეთავის მოთხოვნები.

6. დაცულია შშმპ ლიფტის კაბინისადმი მოთხოვნები 407-408-409 ქვეთავის შესაბამისად.

გ) ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები (თავი 5)

1. პროექტის შესაბამისად გათვალისწინებულია ავტოსადგომი როგორც მიკროავტობუსისათვის 3500 მმ-ით ასევე მსუბუქი ავტომობილისათვის 2500 მმ-ით. აღნიშნულ ავტოსადგომებს გააჩნიათ შესაბამისი მისაწვდომი გასასვლელი 1500 მმ-ის სიგანით. შესაბამისად გათვალისწინებულია 502 ქვეთავის მოთხოვნები.

2. სახელურები კიბის უჯრედში მოწყობილია ორივე მხარეს, დაცულია მისი უწყვეტობა, მდებარეობა, სიმაღლე, თავისუფალი სივრცე, ხელმოსაჭიდი ზედაპირი, გაგრძელება კიბეების ბოლოებში 505 ქვეთავის შესაბამისად.

3. ავტოსადგომზე მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება 507 ქვეთავს.

დ) წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები (თავი 6)

1. წყლის დასალევი შადრევნები და ბოთლების ასავსები პუნქტები განთავსებულია საზოგადოებრივი ფუნქციის სივრცეებში, ონკანის სიმაღლეები გათვალისწინებულია როგორც ეტლით მოსარგებლისათვის ასევე ფეხზე მდგომთათვის. ასევე დაცულია თავისუფალი სივრცე მისადგომობისათვის. ქვეთავი 602 ის შესაბამისად აღნიშნული მოწყობილობები გათვალისწინებულია შესაბამის სივრცეებში მოთხოვნათა დაცვით.

2. ტუალეტისა და სააბაზანო მისაწვდომი ოთახები მოწყობილია როგორც საზოგადოებრივი ფუნქციის სივრცეში, ასევე ბინებში. შესაბამისი ნაკვეთურების გაბარიტები, მდებარეობა და ხელმოსაჭიდები აკმაყოფილებს 603-604 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. ხელსაბანები და ნიჟარების მოთხოვნები დაცულია 606 ქვეთავის შესაბამისად.

4. აბაზანები/შესაგორებელი საშხაპეები, შესაბამისი დასაჯდომები და ხელმოსაჭიდი ძელები მოწყობილია 607-608-609-610 ქვეთავის შესაბამისად.

ე) საკომუნიკაციო ელემნტები და ფუნქციები (თავი 7)

1. ხმოვანი და ვიზუალური განგაშისა და შეტყობინების მოწყობილობები, რომლებიც შენობის სახანძრო განგაშის სისტემის ნაწილს შეადგენენ, უნდა დააყენონ 106.2.4 ქვეთავში მითითებული NFPA 72-ის შესაბამისად, ელექტროენერგია უნდა მიეწოდებოდეს კომერციული განათებისა და ელექტროენერგიის წყაროდან, მუდმივად უნდა იყოს მიერთებული ელექტრო სისტემასთან.

გამონაკლისი: ხმოვანი და ვიზუალური შეტყობინების მოწყობილობები საცხოვრებელ ერთეულებში ან საძინებელ ერთეულებში უნდა შეესაბამებოდეს 1106.2-1106,5.4 ქვეთავებს.

2. ნიშნები შეესაბამება 703-ე ქვეთავს. ტაქტილური ნიშნები უნდა მოიცავდეს, როგორც ამობურცულ სიმბოლოებს, ასევე ბრაილს.

ვ) სოციალური ოთახები და სივრცეები (თავი 8)

1. სამზარეულო სივრცეები პროექტში გათვალისწინებულია 804 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით, სამზარეულოს ინვენტარი განთავსებულია ერთი კედლის გასწვრივ, ხოლო მასთან მისადგომი გაბარიტები აკმაყოფილებს 804.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

ზ) საცხოვრებელი ერთეულები და საძინებელი ერთეულები (თავი 11)

1. მისაწვდომი ერთეულები შეესაბამება 1102 ქვეთავს.

2. მისაწვდომი სვლაგეზები გათვალისწინებულია 1102.3 ქვეთავის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ყველა სივრცე და ელემენტი რომელიც ამ სივრცის ნაწილია, უწყვეტადაა დაკავშირებული მისაწვდომ სვლაგეზთან. ისევე როგორც მისაწვდომი ბინის ყველა ოთახში ინდივიდუალურად, ასევე დერეფნებშიც მოწყობილია მოსატრიალებელი სივრცეები.

3. მისაწვდომი სვლაგეზი თითოეულ სართულზე ითვალისწინებს სავალ ზედაპირებს დონეთა ცვლილების გარეშე.

4. კარები და გზა-კარები შეესაბამება 404 ქევთავს.

5. ერთეულის საზღვრებში არსებული ლიფტები შეესაბამება 407-408-409-ე ქვეთავს.

6. მისაწვდომი აბაზანა ტუალეტები და მოწყობილობები შეესაბამება 1102.11 ქვეთავს.

7. გაბარიტები და ზომები საცხოვრებელ ერთეულებში (მისაწვდომი სივრცის, ოთახის, სამყოფის, დერეფნის, ლიფტის, სვლაგეზის) აკმაყოფილებს 11 თავის მოთხოვნებს.

„ა“ და “ბ“ ტიპის ბინები

ვინაიდან საპროექტო შენობა განეკუთვნება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, მისი მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროა „ა“ და “ბ“ ტიპის ბინების არსებობა რომელიც მოწყობილი უნდა იყოს 1103 და 1104 ქვეთავების შესაბამისად.

„ა“ ტიპის ბინების რაოდენობა უნდა იყოს 2%, მინიმუმ კი 1 ბინა. 1103.2-1103.3 ქვეთავის მიხედვით მისაწვდომი სვლაგეზი უწყვეტად უკავშირდება საზოგადოებრივი სივრცე ბინებს. მოწყობილია. 1103.6-1103.7 ქვეთავის შესაბამისად პანდუსები და ლიფტები. 1103.10-1103.11 ქვეთავების შესაბამისად დასგეგმარებულია სარეცხი მოწყობილობები, ტუალეტები და აბაზანები შესაბამისი ხელმოსაჭიდი ძელებით. დაცულია შესაბამისი ზომები და ნორმები. 1103.12 ქვეთავის შესაბამისად დაცულია სამზარეულოს მოწყობილობების ნორმები, ბინებში გათვალისწინებულია ცალმხრივი და კუთხოვანი განლაგება სადაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია მინიმალურზე ბევრად მეტი თავისუფალი სივრცე. აგრეგატები მოწყობილია მისაწვდომ სიმაღლეზე. გარდა მინიმალური ზომებისა, ყველა ოთახში დამატებით, მეტობით მოწყობილია მოსატრიალებელი სივრცეები 1700 მილიმეტრის დიამეტრით, რაც გარკვეულ ოთახებში მინიმალურ მოთხოვნას არსებითად აღემატება.

ყველა ბინა რომელიც არ არის „ა“ ტიპის, მოწყობილია „ბ“ ტიპის ბინების სახით. აღნიშნული აკმაყოფილება 1104 ქვეთავის მოთხოვნებს. ყველა „ბ“ ტიპის ბინამდეც ასევე უწყვეტად ხდება საზოგადოებრივი სივრციდან მისვლა შესაბამისი მისაწვდომი სვლაგეზით მოხვედრა. 1104.1 ქვეთავის შესაბამისად ყველა სივრცეში არსებობს 1200X760 მმ თავისუფალი სივრცე. 1104.5 ქვეთავის შესაბამისად ბინის ცენტრალური კარებო მოთხოვნათა შესაბამისად უნდა იყოს მისაწვდომი და აღნიშნული კარის თავისუფალი სიგანე 82 სანტიმეტრზე მეტია. 1104.9 ქვეთავის შესაბამისად ბინაში ყველა აგრეგატი და სამართავი ელემენტი აკმაყოფილებს შესაბამის სიმაღლეს. 1104.10-1104.11 ქვეთავების შესაბამისად სარეცხი მოწყობილობები, ტუალეტები და აბაზანის მოწყობილობები აკმაყოფილებს მოთხოვნებს. „ბ“ ტიპის ბინაში ზემოაღნიშნული მოწყობილობები არის ა და ბ ვარიანტების შესაბამისი და განლაგებულია შესაბამის ბინაში შესაბამისი გეგმარებების მორგების პრინციპით. 1104.12 ქვეთავის შესაბამისად სამზარეულოები დაგეგმარებულია მოთხოვნების დაცვით. ყველა სამზარეულო არის მისაწვდომი და მის წინ სივრცეები არის მინიმალურზე ბევრად მეტი. ვინაიდან „ბ“ ტიპის ბინებს ამ ეტაპზე არ მოეთხოვება სრულყოფილი მისაწვდომობა და მხოლოდ შესაძლებელი უნდა იყოს სამომავლოდ საჭიროების შემთხვევაში მისი მორგება მისაწვდომობაზე, ამ ეტაპზე დაგეგმარებული სივრცეები და თავისუფალი ზომები შესაძლებლობას იძლევა

სამომავლოდ დამონტაჟდეს 1104.11 ქვეთავის შესაბამისი ხელმოსაჭიდი ძელები და მოერგოს მისაწვდომობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „ბ“ ტიპის ბინები სრულად აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს.

დასკვნა:

ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით 01.17.02.059.089 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შესაბამისი დეტალიზაციის დანართით შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს, მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტს და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ნიკოლოზ გოგეშვილი

2021 წ.

C V

პერსონალური ინფორმაცია:

ნიკოლოზ გოგეშვილი



მოქალაქეობა	საქართველო
დაბადების თარიღი	15/09/1993
დაბადების ადგილი	თბილისი
იურიდიული მისამართი	თბილისი, ნუცუბიძის №217 ბ.30
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი ნუცუბიძის №217 ბ.30
ოჯახური მდგომარეობა	დასაოჯახებელი
განათლება	უმაღლესი
პროფესია	არქიტექტორი
მობილური:	591 94 87 92
ელ-ფოსტა:	a3architects.nika@gmail.com, gogeshvili1930@gmail.com
ინფორმაცია ნასამართლეობის შესახებ:	ნასამართლეობის არმქონე

C V

განათლება (უმაღლესი განათლება, ტრენინგები, სერთიფიკატები, კურსები):

უნივერსიტეტის / სასწავლებლის დასახელება	*ფაკულტეტი / სპეციალობა*	*დაწყების თარიღი*	*დასრულების თარიღი*	*მიღებული ხარისხი*
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი	2012	2016	ბაკალავრი
თბილისის აკადემიკოს ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	ურბანული არქიტექტურა მაგისტრანტი	2016	დღემდე	მაგისტრანტი

სამუშაო გამოცდილება:

დამსაქმებელი	*დაკავებული პოზიცია; მოვალეობები*	*დაწყების თარიღი*	*დასრულების თარიღი*
შპს „IDM“	არქიტექტორის თანაშემწე	12.03.2013	15.07.2015
შპს „ივერიამშენი 2000“	არქიტექტორი	15.07.2015	10.03.2016
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის ქონების მართვის სააგენტო	არქიტექტორი	02.11.2016	02.11.2018
შპს “აპ არქიტექტს”	არქიტექტორი	02.09.2018	დღემდე
შპს “არქ აპ”	არქიტექტორი	02.10.2018	დღემდე
შპს “არქი ჰრომოუშენი”	არქიტექტორი	08.01.2020	დღემდე
ჯამი	არქიტექტორი	7 წელი	

უცხო ენა

ენა	ცოდნის დონე: 4 – თავისუფლად; 3- კარგად; 2-საშუალოდ; 1- დამწყები;
ინგლისური	4
რუსული	4
სპარსული	2

კომპიუტერული პროგრამები	
Archicad	4
3ds max	4
Autocad	4
Microsoft office	3
Adobe Photoshop	3
Arcgis	4

საქართველო
Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

ბაკალავრის დიპლომი

BD № 003049

Bachelor's Diploma

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 2016 წლის 21 ივლისის № 56 გადაწყვეტილებით

ნიკოლოზ გოგეშვილს მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

By the decision № 56 July 21, 2016 of the Faculty of

Architecture, Urban Planning and Design

Mr. Nikoloz Gogeshvili *was awarded the Degree of Bachelor of*

Architecture

სარეგისტრაციო
Registration № 03029

დეკანი
Dean

მ/შ
Act.Dean

გია ნაცვლიშვილი
Gia Natsvlishvili

თბილისი
Tbilisi

16 — რიცხვი/*Day*

09 — თვე/*Month*

2016 — წელი/*Year*

რექტორი
Rector

არჩილ ფრანგიშვილი
Archil Prangishvili

Seal